ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ ს-10/01192802567-17

"19" 11. 2019 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, გობრონიძის ქუჩა №11-ში (საკ. კოდი №01.11.17.003.206) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსის I მრავალფუნქციური კომპლექსის III ეტაპის („ც" ბლოკი) და V ეტაპის („ე" ბლოკი) - IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №359 7134 13.10.2017წ.

ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, გობრონიძის ქუჩა №11-ში (საკ. კოდი №01.11.17.003.206) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

C ბლოკი

"1-6" ფასადი: +4.35 ნიშნულის ქვემოთ შეცვლილია ვიტრაჟების ვიზუალი. ამავე ნიშნულის ქვემოთ, "2-5" მონაკვეთში ვიტრაჟებში დამატებით მოწყობილია კარები. +55.05 ნიშნულის ზემოთ, "5-6" მონაკვეთში სამანქანოს ფასადზე დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილი და ღიობები.

"6-1" ფასადი: +55.05 ნიშნულის ზემოთ, "5" ღერძთან სამანქანოს ფასადზე მოწყობილია წყალშემკრები მილი. "6" ღერძთან წყალშემკრებ მილს მონაცვლებული აქვს ადგილი "5" ღერძისკენ.

C და E ბლოკები მოწყობილია სხვადასხვა ნიშნულებზე, რის გამოც ც ბლოკში, -2.70 ნიშნულზე "2-3" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია დამაკავშირებელი პანდუსი. ამავე ნიშნულზე, "5-6" მონაკვეთში "გ" ღერძთან გაუქმებულია ტამბური. -2.70 ნიშნულზე გაზრდილია გადახურვის ფილის სისქე, რის გამოც არ ფიქსირდება რიგელები. -1.45 ნიშნულზე შემცირებულია სართულის სიმაღლე.
+53.85 ნიშნულზე, გადახურვის სართულზე შეცვლილია შახტების რაოდენობა, მდებარეობა და ასევე გაბარიტი. ამავე ნიშნულზე "5-6" მონაკვეთში გაზრდილია ტექნიკური ოთახის გაბარიტი.

A1 ჭრილის მიხედვით, +57.15 ნიშნულთან "5-6" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია რიგელი.

E ბლოკი

"6-1" ფასადი: ფასადი შესალესი და შესაღებია. ასევე დამატებით მოწყობილია მინაბლოკის ღიობები.

"ა-დ" ფასადი: ნაწილობრივ შეცვლილია ფასადის მოპირკეთება, ასევე დამატებით მოწყობილია ღიობები ვიტრაჟებით. "დ" ღერძთან დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილი. შეცვლილია გრუნტის ნიშნულები.

"1-6" ფასადი: ნაწილობრივ შეცვლილია ფასადის მოპირკეთება. ამავე ფასადზე შეცვლილია ვიტრაჟების რაოდენობა, ფორმა და გაბარიტი. "2" ღერძთან დამატებით მოწყობილია კარი. "2" ღერძის გარეთ, ასევე "6" ღერძთან დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ჭრილის ნახაზის მიხედვით -4.15 ნიშნულზე, ხოლო გეგმის ნახაზის მიხედვით -2.70 ნიშნულზე გაზრდილია სართულის სიმაღლე, ხოლო -1.45 ნიშნულზე შემცირებულია. ამავე ნიშნულებზე, "დ" ღერძზე, "1" ღერძის გარეთ, ასევე "დ-გ" მონაკვეთში შეცვლილია კოლონებს შორის მანძილი. -2.70 ნიშნულზე "დ" ღერძზე არსებულ მონოლითურ კედელსა და კოლონებს, ასევე -1.45 ნიშნულზე არსებულ კოლონებს მონაცვლებული აქვს ადგილი "გ" ღერძისკენ. "დ" ღერძზე, "1" ღერძის გარეთ შეცვლილია კედლის, ხოლო "დ" ღერძთან ფილის ფორმა. -2.70 და -1.45 ნიშნულებზე "ბ" ღერძზე, "1-2" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კოლონები. +6.15 ნიშნულზე, "1-3" და "დ-გ" მონაკვეთების კვეთაზე, გადახურვის ფილაში დამატებით მოწყობილია ღიობი, ასევე კაპიტალური კედლები და გადახურვა, რის ხარჯზეც დამატებით შექმნილია ფართი. ტერიტორიაზე, "ა" ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია პანდუსი საფეხურებითა და მოაჯირებით. ნაწილობრივ გაუქმებულია რიგელები.

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, ამავე კოდექსის 83-ე და 177-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 62-ე მუხლის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს "ბალავარი"-ს, ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, გობრონიძის ქუჩა №11-ში (საკ. კოდი №01.11.17.003.206) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსის I მრავალფუნქციური კომპლექსის III ეტაპის („ც" ბლოკი) და V ეტაპის („ე" ბლოკი) - IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №10/01192802567-17 07.10.2019წ. განცხადება.

მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე